ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3752791

ნომერი: AR1565473

თარიღი : 18.12.2017

გაცემის თარიღი : 25.12.2017

გაცნობის თარიღი : 25.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირი N25 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არსენ მირზაშვილი პ/ნ 01024019852
- თბილისი სანერგე მეურნეობის დას. N 9 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია გასცეს წერილობითი თანხმობა მხოლოდ დროებითი სტატუსით 1 წლის ვადით.
ამასთანავე წარმოდგენილ ფოტოსთან ერტა დამატებით წარმოსადგენია დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით.
ვინაიდან მიწის ნაკვეთი მოქცეულია აეროდრომის რაიონში, საჭიროა დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო არეალის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ, მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნიშნულების დატანით, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, ღობეების, საპროექტო არეალში არსებული ხე-ნარგავისა და ბუჩქის, შესაბამისი პირობითი ნიშნების მითითებით).
განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში სამუშაოების განხორციელების ინტერესის მქონე პირთან დაკავშირებით ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მესაკუთრეს წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი მინდობილობა ან მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გაითვალისწინეთ "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მიხედვით ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერში გარკვეულ ფართებზე ფიქსირდება სარგებლობა, იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკ"-სა და შპს "ჯი დი სი სი"-ს სარგებლობაში არსებულ ფართებს, წარმოსადგენია მოსარგებლის წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის/პირების მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.